

କୁଳାଳମାର୍ଗ

ବେଶ
ପତ୍ର

ବ୍ୟାଙ୍ଗ
N^o 236
ବିଦେଶୀ ପ୍ରକାଶନ
ବିଦେଶୀ ପ୍ରକାଶନ

ଅଧିକାରୀ ପରିଚାଳକ ପଠାନ୍ତର. * ୧୯୧୪ ମସି ୧୯୧୪ ମସି




୩୨୨୬

ବ୍ୟାଙ୍ଗ ଏଣ୍ ଡାରିନ୍ଦ୍ରନ୍ଦ୍ରମାର୍ଗ

ს ა რ ჩ ე ბ ი



I — ნუ თუ არ დაბრუნდება, — სურ.	1
II — გამზადებულდა!... — ლექსი ვ. გორგაძის	3
III — მოგონება, — გ. თამრთშვილის.	4
IV — ნათელი, — (ზღვაპარი ლექსიად) ღ. კახიაძის.	11
V — მოკარნახე დიაკვნად, — ბ. ახმაშიარევის	20
VI — პროზა და პოეზია, — (აგაფარავი) დავ. ქალასანიძის.	30
VII — კალი, — (ზღვაპარი კვადდისა, თარგმანი) ნ. დოდებულიძის.	32
<u>VIII — ჩვენი პოეტები, — ივ. გომიართევდისა</u>	49
IX — ტროალის ომი, — (გაგრძელება) ალ. შიქაბერიძისა.	58
X — ვახართობი: შარიდები, რებუსი და ილუსი.	63



ტფილისი, ელმა-შეკედ. ა. ჭერესელიძის, გამაცემის შესახება, № 1.

გამოხა- ფეულდა!

3

იმოზაფხულდა. მთა-ბარი
მოირთო მწვანე კაბითა.
ბუჩქის პირს ია გაშლილი
პირს იბანს დილის ნამითა!..

* *

გამოზაფხულდა. ტოროლობ
გააპო ცისა კამარა...
ტყე შეიმოსა ფოთლებით—
მდელო ყვავილმა ღაპტარა!..

* *

გამოზაფხულდა. სიცოცხლებ
შიდამო გაახალისა.
ირგველივ გისმა დიდება
ბუნების ძალთა-ძალისა!..

ვ. გორგაძე.





ə mə gə mə bə ə zə s.



ռարև թուժամուշի թագունակց-հոսքիուտ առու-
թառյանութ; Կայլա կայլութ թրյառուսյեն
թոյի յարչի Շըսացրտեթելութ, Կայլա օլբի-
դոյուս թրյառուսյեն, Տյուլումի Ըացքուն-
ծուլ թովի այցեսացուտ.

სკოლაში ახდად მიბარებულ ჩემ უმ-
ცროს ძმასთან,—თელისთან, ჩხები ყო-
ველ წამს მოგვდიოდა, ამიტომ შინაურები სახლიდან ჩემ
მოცილებას მუდამ ნატრობდნენ. მეც რა მენაღვლებოდა: გა-
მოეიდოდი კარში, პურის ყუას, რა თქმა უნდა, არ დავიგი-
წყებდი, მეზობლიანთ კიკას ბადესა ვთხოვდი, და სადილს
უკან (ჩხები ხშირად სადილზე მოგვდიოდა) ფშანზე *) სათფ-
ვზაოდ წავიდოდი.

— ၁၀, დედი, რაკი სახლიდან მაგდებ, სათვეზაოდ წავილ-

და ვნახოთ, როგორც ეითევზავებ! — ნიშნის მოგებით შეუძლია ბრი გარედან დედას.

— წალი, წადი, ოლონდ მოგვშორდი, მოგვასვენე და სათევზაოდ-კი არა, გინდა საეშვაკოდ წალი, — გამომძახებდა დედა.

— თუ ორაგული დაიჭირო, შეილო ნიკო, არ გაგეჭ-ცეს; მოტანით არ შეგაწუხებთ; დააბი იქ, დავკიძახე და ჩვენ წამოვიდებთ, — დაცინვით მითხრა მაძიღაჩემშა.

მე, როგორც გულ-მაგარ ბიჭს, ეს დაცინვა გულს ვერ გამიტებდა, გავიდებდი მხარზე ჩასადგმელ ბალეს, ჩამოვიფხა-ტებდი „კიკიროს“-გაცვეთილ, „ჯარტუზს“. შარვალს წინდე-ბში ჩავიტანდი, ნაცრისფერ მაუდის ხალითზე ქამარს მაგრა შემოვიკერდი, მეორე ხელში თევზისთვის ველრას დაეიჭერდი და ჰერი ბიჭო — ფშანისკენ! გზაში ბევრი ამეტორლიალე-ბოდა.

— ნიკო, მეც წამოვალ სათევზაოდ, ბალის დაჭერას ვი-შველი, ან თევზს წამოვიდებ! — მეტყოდნენ აქეთ-იქით.

— ნწი, შეიღონიასა, თქვენი შველა არ მინდა, ბადე-საც მე თითონ დავიჭერ და თევზსაც ვზიდავ; იქ ხათაბაღლაში არაფერში გამრიოთ! — ვეტყოდი დიდი კაცის კილოთი და ფეხს ავაჩქარებდი, კიდევ არავინ ამჯერია ტებოდა. ძალიან მეჯავრე-ბოდა თევზაობაში ვისთანმე გააშანავება; მე თევზს დავიჭერ-დი და ის დაიჩემებდა, როგორც ეს გოგლამ მიუო.

თუმცა ძალიან ცხელოდა, მაგრამ ჩანამ ბადებში თევზის მისატანებელს გავაკეთებდი, ფეხთ დავინდიდი და ველრას გავ-შართავდი. ახლაც შე სიცხისა არა გამიგიარა. ვასენე ღმერთი და ბადე ჩავდგი წყალში. გულმა არ მომითმინა და ჯერ სულ ხუთ-ექვს წუთს არ გაევლო, რომ ბადე ამოვიდე, მაგრამ ცა-რიელი ამონდა; მეორედ თვალმა მომატყუა: მომეჩენა, ვი-თომ ბადე შეინძრა. გული ამიფანცქალდა, პირს ლიშმა დამ-კრა და ბადე-კი არ ამოვიდე, წყალიდან ამოვგლიჯე, მაგრამ



კიდევ გაცრუვდა იმედი. მესამედ-კი ერთი გზა-ირჩევული წერია ჰყონა მოპყეა ბადეს; ისე ვამალებული ფართხალებდა, თითქოს ლეკურს უვლიდო.

დაცილი მქონდა: თუ გზაზე ჩეენი სკოლის მსახურს უეჭვდებოდი, უთუოდ დავინავსებოდი. მაშინაც სად იყო, სად არა, გამოვიარე თუ არა, ყარყუმივით ეზოს კარგბთან იდგა. თვალი ვერ შევასწარი, თორემ მეორე გზით მოუკლიდი. ამ სულ ის არის დამნაშავე, რომ კარგა ხანს ბადეს არა მოხვედრია რა. მესამედ-კი ჩეენი სოფოს იღბალზე იყო ჩადგმული, ამიტომ მოხვდა ეს კიკეინაც. ამა კიკეინის რას კიკეინი გამევონა, რომ სოლომანა მებაღური პატარა კიკეინებს ბადიდან არ იღებდა, უკანვე წყალში ისროდა; მეც ბოლო მოვაჯვნიტე ნიშნისთვის, თავს შემოვრცლე. და გუშერ, იქნებ მერე მოხრდილი შემხვედროდა. კიკეინის თავს უშველა და მისი ხელმეორედ ნახვა დღესაც მორბის.

მეოთხედ ბადე მამიდაჩემის ბედობაზე ჩაედგი, თან კულში იმედმა გაიჩიქუნა, ეგებ მართლა თრავული მოხვედროდა. მაშინ ხომ ჩემისთანა მეთევზე აღირიგინ იქნებოდა?! ეჭ, თრავულო, ნეტავ სადა გაქვს ბინაღობა, რომ ნიკო ბიჭი ვერაგხედავს!..

იმედი იყო, მაგრავ ვინ დაგაცლის?! რიყეზე ეილაცა ცხენს მოაქენებდი; ცხენის ფეხს ქვიშაზე თქარა-აქური გაუდიოდა და თითონაც თავის კეეაში ვითომ სიმღერას ამბობდა, მაგრამ ისე ლრიალებდა, რომ თევზებს-კი არა, ვარსკვლავებს დააფრთხობდა. მერე განა გასაკეირველი იყო, რომ მეოთხედ ცარიელი ბადე ამოვილე. სწორე გითხრათ, მამიდაჩემი აქ აა. შუაში იყო. ბევრი საყვედური და ბუზლუნი შეუთვალე იმ ცხენოსანს, რომელსაც ეგონა, რომ თავის სიმღერით ქვეყანას აშენებდა. კიდევ ჩაედგი ბადე მამიჩემის ბედობაზე, გაენაბე სული, ყურმანებილად ვიყავი და თვალს ბადეს არ ვაშორებდი: პატარა ტალღას გამოვაყოლებდი თვალს და ვფიქრობდი, ვინ იცის



რა დიდ თრაგულს მოათრებს ის ტალღა ბადისკენ შემდეგ ამ ნელა, ციციმით ამოვილე ბადე და სიხარულისაგან ეინაღოს ხელიდან „გამვარდა: ერთ ზრკაველზე მსხვილი ციცორი დავ-ლურს უველიდა და პაწია თვალებით შემომცინოდა, თითქოს „გამარჯობას“ მეუბნებოდა.

აბა, რა ვთქვა, როგორ ავიწეროთ ის ჩემი სიხარული? უნდა თქვენ თითონ სულ-განაბული დღიდა ხანი იჯდეთ წყლის პირს, ხელში პატის ტირი კანკალებდეს და ჯავრი მოვდიოდეთ, თუ ზევით, ძალიან ზევითაც-კი ვინშემ წყალში ვატობოს: რას მიქეარავს, თევზები არ დააფრითხოს! სწყევ-ლიდეთ, სჯავრობდეთ იმ თავქედზე, ისიც გულში, ჩუმალ, ფიქრით, თორებ ხმა-მალლივ ჯავრობა შებალურისოფის რა გასაბედია? იჯდეთ ესე საათობით და მაშინ გამოსცდოთ ჩემ ამბავს, ვაიგებთ, ცეკლაფერს ვაიგებთ, თორებ ესე ამბით რა გამოვა?!

კიმორს, ლამიზე და პატარა-ულვაშიანს, თვალებში ვა-
კოცე და ვეღრაში ფრთხილიდ ჩაუშეი. ოლარს მიშვევდა-რა:
რავი ბედი გაისხინა, თევზიც სტუმრად აღარ გამოლეულა.

- თუ გავიცილებიათ საითმე შორს მგზავრად თქვენი მანლობელი ნათესავ-მეცნიერი, კინახავთ, როგორ ვშორდებათ, იქნევთ ჰაერში ხელსახოცს და „მშეიღობით,“ „ნახვიძის“ უკირით; ჰედავთ, როგორ იყარება ნელ-ნელა თვალიდან ნაცნობი სახე; ვიკირთ, თუ რა უცბად შეიცვალა სურათი და კაცის ნაცვლად შორეული ლიანდი როგორ მოსჩანს,—ისე იმ ხდებოს მზე, შეადლისას გაეპასებული და მაცხუნარი, ჩასელისას დაშოშმინდა, დაწყნარდა, დაშეშრა და, თითქოს კვამლით, მთის იქით ჩიწვა და გარინდდა. ყვე-

ლა, კველა და ბრაზ-მოსისკვლელი ის იყო. რომ გვერდი კუნძული ტობის ბაყაყბი, მოელი დღე ჰამბში შეუცულია, სხვაგა სურა კუნძულები და ხმი ამოიღეს.

საღამოს სიომ და ველრაში ბლობიდ მოცურავე თევზებ-
მა კარგ გუნებაზე დამხეყნეს. წინად თუ ებრაზობდი ცარიელ
პალის დანახვაზე, იხლი აინუნში არ ვიგდებდი. მამიდაჩემის
ბედობაზე ჩაღმული ბადე რომ თრჯელ მომიცდა, სულ ჩე-
მი ბრალი იყო: მზის ჩიხვლის ყურებაში გავერთო და ან ბა-
რის ამოლება დავაგდონე, ან და სწორედ ვერ მოვიღო.

მომენტანა, ვითომ ზევიდან, აგერ ჭალა რომ არის, სა-
დაც, როგორც გამიგონია, ბევრი მცენტი და ტურა პუდობს
და მათი ხშირი ყმურლ-ჩხავილიც ისმის,—ერთი დიდი ორა-
გული წამოსულიყოს ქვევითკენ, წყალს მოაჭყაპუნებდეს,
ერთი თრონ-ტრიალი დაეტანებინოს, წყრილი თვეზები
აქეთ-იქით ჯილებში *) მიმალულიყვნენ ბატონ თრიაგუ-
ლის დანახვაზე და სული გაეტრუნოთ. იქნებ ეგ იყო
მიზეზი, რომ კარგი ხანს ჩემს ბაღეს თვეზი ვერ მოხვდა. გა-
დავწყვიტე ბინდამდის მომეცადა თრიაგულისთვის და მერე
ნადავლით სახლისკენ ცუხ-ცუხით წავსულიყავო.

რაკი მზის დასავალი ჩაშევდა და ჰალიდან ნიავმა დაპ-
კრა, პორით მოისმი მგზავრის სიმღერა და ჩვენი ფშანეც
ძილისაგან გამოიკრევა, ახლა-კი ბინა-აშლილი ორაგული ქვე-
ით დაიშვებოდა და ჩემ ლოდინს ბოლო მოეკვეცებოდა.

აღვილი ვიცვალე, უორა ზევით იველი ჩემი ბარგი-ბარხინით, ჩვდევ ბადე და დაუწყე უდა სანატრელ ორაფულს. კრიქინა ის იყო ათავებდა თავის საღამოს სიმღერას და, როგორც სიმღერისგან მოღლილი მეფისტურე, სკენებ-სკენებით ამჰობდა ჰანგა: ხმა ჩახლებოდა და თან ეშურებოდა;



წყალი ნელა, ტკბილ-გასაგონად მიჩნრიალებდა; პატაწა
ტალები ერთი-მეორეს სდევდნენ და, როგორც სკოლაში
მოწაფენი, მწვანეზე პეპელები ან და ლამზე შელის ნუკრე-
ბი—კისკისობდნენ, ხმაურობდნენ და... ხმაურობა ნელ-ნელა
წყნარლებოდა.

ორიგიული დინჯათ მთარღვევდა წყალს, სიმძიმისაგან აქტი-იქტი გადადოდა, როგორც ზარმაცი ხარი გუთანში, ან აქლები უდაბნოს ქვიშაში. დაინახა თუ არა ჩემი ბადე, გულში ჩაეცინა, უნდოდა გვერდი აეხვია, მაგრამ ფილტვის ნაქერმა სული წასძლია და ბადეში შებძანება იყალრა. ნიკო ბიჭი ფხიზლად იყო: არც-კი ვაცალე პირი მოევლო ფილტვის ნა-კრისათვის, რომ ბადე საჩქაროდ ამოვილე წყლიდან.

უნდა გითხრათ, რომ ყველა მონაცირე და მებალურე ცრუ-მორწმუნეა. აი იმ წამში დამეკარგა მხოლოდ ეს გრძნობა და თავი დიდ, გამოცდილ მებალურად წარმოედგინ. დიდის წვალებით ამოვათრიე ორაგული. ჩემი სიხარულის აწერა მეტია: სიხარულისაგან მესტები და წინდები არც კი ჩამიცამს; კედრა, არც კი წამომიღია: ჰათ — ჰარიად წამოვდი! ხუმრიობა ხომ არ იყო თრავულის დაკრრა. მთელ ჩემ



ამხანაგებს დიდი ამბავი შეუდგებოდათ. მამიდაჩემუა უზრუნველყოფა
მიღდაჩემი!

ბინდი ქვეყანას ეპა-ებოდა, როცა სახლისკენ წამოვდე-
დი. სკოლის აქეთ, ელიზბარაანთხა ჩეცულებრივ ბევრი ვთ-
ვო-ბიჭები შეერებილიყვნენ და ერიამული გაპქონდათ. სკო-
ლის მსახური ვეებერთელი ბიჟი იძათში გარეულიყო და
ხტუწნობდა. ჩემ გულში-კი ბრაზით გაეიფიქრე: კორი ხბო-
რებში-მეტქი.

— ნიკო მოდის, ნიკო! მებაღურს გაუმარჯოს, გაუმარ-
ჯოს! — ყვიროდნენ გოგო-ბიჭები.

— სკოლომონ მებაღურევ! სალამო შშვილობისა! — დაცინ-
ვით მომიძახი სკოლის მსახურმა. მე აინუნშიაც არ ჩავიგდე
მისი დაცინება. ორაგულის დანახება და ამათი გაეკირვება ერ-
თი იყო. სახლიმდის ისე მომყვნენ, მათ სხვა-და-სხვა ბაასს ტ-
ჩემ ქების ბოლო არ უჩინდა.


მამიდაჩემის გაეკირების გადმოცემა შეტად შეძნელება:
გაოცებული იდგა კარებში და თვალს არ უჯერებდა.

მე დიდი ყვანყვალით ჩამოვიდე თრაგული და დანა მო-
ვითხოვე. აქ ერთი ლაზათიანი ჩეუბი მომიუიდა ჩემ ძმისთან:
ხელი ვყარი და გარედ მოვკურულებ; თან დედაჩემის ჯავ-
რობა მომესმა...

თურმე, რის თრაგული, რა თრაგული! დამძინებოდა,
ბადე წყალს ჩემს ქვევით მიანაშა. უკვი კარგად შეღამებუ-
ლიყო. დედაჩემი შეტად ჯავრობდა, დამეტუქრა — გორის მზეს
აღარ დაგანახვებო, — და ბუზღუნით სახლისკენ წამოვყენი.

იმ ლამეს ბევრი სახარება წამიკითხეს, ჩემი დაჭრილი
თევზი არა სჭიშეს და თევზაობაც სამუდამოდ ამიკრმალეს...

ვ. თამჩოშვილი.



ნათელა.

(ზღაპარი).



I

ამ არ მოვუთხრობ ჩემ ბავშვებს—
გიგლის, ნინოს და თამარისა,
ზამთრის გრძელ ღამის საჩუქარს,
არასდროს მოსაწყინონსა.

რომ, იცინით კიდევა,
ელით თქვენს მელა-კუდასა?
თქვენც არ მომიკვდეთ! პირს მოვხსნი
სულ სხეა-გვარ ზღაპრის გუდასა.
ხელმწიფის ქალი ნათელი—
ამ ზღაპრის გმირი ქალი,
ქალია, მაგრამ რა ქალი!
მთელი ამ ქვეუნის თვალია!
მაგრამ, ვიდრე მას გავიცნობთ,
სჯობს, რომ ჩამოვსხდეთ რიგზედა...
შალვა, მაგ გორგალს ნუ აგდებ,
აგებულს წინდის ჩხირზედა.
ხომ იცი—დილით დიდედა



ადგება, გავიჯდერდება,
 გუშინდელივით, მერწმუნე,
 ცუდი დღე გაგიოენდება.
 მოდი ჩეენს გვერდით, რადგანაც
 ბიჭიბა: თავზე გიდვია,
 ხვალ დილით ყველას გვაჩვენე,
 რამდენად ყური გიგდია.
 მაგრამ რა იქნა ნუციქ,
 ქეთო, ციცვივით მარდია?
 სძინავს? — ეძინოს, ჯერ კიდევ
 ზღაპრისთვის ქორფა ვარდია.
 შენც ნულარ ცელქობ, თინათინ,
 შენს ციცოს გახარებასა:
 ღამე მიფრინავს, ზღაპარიც
 არ ითხოვს დახანებასა.

II

იყო და არა იყო რა...
 ბიჭის! რა მოგდით ყველასა?
 უკვე ხითხითები აკი ვთქვი,
 არ ვაქებ კუდა-მელასა.
 სულ სხვაა ჩემი ზღაპარი,
 სინამდევილეზე ურკბესი,
 ვით მარგალიტი წყობილი
 შე-ქალის ბროლის უბესი.
 იყო და არა იყო-რა...
 ნეტავ რას ჰეკდავთ საცინელს?



მელის სულ იღია ვაბსენებ,
 უკულისა თუ კუდა-გრძელს.
 მით უმეტეს, რომ ამბავი
 ჰხდება შორს.. ცხრა მთას იქითა,
 სად ანგელოზნი დაჭრენენ
 ჩვენ სახით ყოველ დილითა.
 ჰო და მაშ სმენა! — კელავ ვიწყობ
 თავიდან ჩემ ძველ ამბავსა:
 იყო... ელიუ, გეყოფა!
 რა ვქნა, რა მოსდის ამ ბავშვა? —
 იყო და არა იყო რა,
 იყო... შენც, თამრო? ამ, ქმარა!
 ამდენშია თქვენშა კისეისმა
 ზღაპარი გუდით მომპარა.
 იყო და არა იყო რა..
 არ მათქმევინებთ ზღაპარსა? —
 იყო.. სჯობს, სულ მთლად გავჩუმდე,
 თუ არ მოიშლით ხარხარსა.
 რაო? გეწყინათ? ჰო, კარგი,
 შეცრივდეთ: არ ვარ მწყრალიადა,
 თლონდ პირობა მომეცით,
 ისხდებით ყველა წყნარადა.
 მე თქვენ მოვითხრობთ ტებილის ხმით
 მამა-პაპეულ არაქსა,
 თქვენც ყური უგდეთ ჩემ ნათქვაშს,
 ვით ნაკადულის რაკრაქსა.



III

იყო და ორა იყო რა,
 იყო ხელმწიფე სციანი;
 ვით რუსთაველის როსტევან —
 ტანალი, მრავალ-ყმიანი;
 სამეცნის ვარდი უმჯობდა,
 წილკოტი ულრან-ტყიანი;
 ცის გუმბათს ებჯინებოდა
 ქედური თოვლის თმიანი;
 ერთურთს ზლაპრებით ართობდნენ
 ეშით დამთვრალნი იანი;
 მათ ენუკეოდა შორიდან
 ზამბაზი ალმას-უვრიანი;
 სუსამბაზის კრავი ჰეოცნიდა,
 პეპელა ლამაზ-ფრთიანი;
 ცისპირს ციცაბზე ლაღობდა
 შელის ნუკრი უნდილ-რქიანი;
 ვანთიადის ეაში გალობდა
 ტოროლი ზარის-ხმიანი;
 ეთერი ტაშა უკრავდა,
 მსუბუქი-ხალათიანი;
 უველის ეშითა დასწევდა
 ნარგიზი ყვითელ-თველიანი;
 წინწელებს საყვაჩლად ესროდა
 ჩანჩქერი ბროლის-წყლიანი;
 თევით ბებრუხანა მუხაცა



უშეილო, მრავალ-წლიანი,
ამაყად იყურებოდა,
არ ეტყობოდა ზიანი;
აქ იდგა მეფის სასახლეც,
პრიუნვალე, ეით დღი მზიანი;
ფირუშოვანი თაღებით,
ზურმუხტის გალავნიანი.

IV

აქ გიოზარდა ნათელა,
ლიდ მეფის პირმშო ასული.
ეით გაზაფხულის ყვავილი,
სიტურულით ცამდე ასული,
შელის ნუკრთა მეგობრობაში
გახადა ნიავ-ქარადა;
უჩინარ ფრთებით დაპქროდა
მათთან მთასა და ბარადა.
ხან გაებმოდა კისკისით
გარდა და კუნლის ბუჩქებში,
იქერდა ჩიტებს, პეპელებს,
კოცნით იძვრენდა უბეში.
ხანაც მძინარე ჯეირანს
მოუწვებოდა დედათა,
ხან-კი ლიტინით წამომფრითხალს
წინ გოგდებდა ველადა.
შემდევ იგივე სირბილი,
კისკისი, ბევენა, ალერსი,



ମହାତାଙ୍କ ସିମଲ୍ଲେରା ମିଳ ଗୁଣୀତ
 ଡାଶିତ୍ରେରାଲ୍ କ୍ଷେତ୍ରୁପି ଠର୍ଯ୍ୟସି,
 ଶ୍ରେଣୀମନ୍ଦ୍ରେବନ୍ଦା, ଗନ୍ଧ ଗିନ୍
 ବ୍ସିର୍ବ୍ରେ ବାତ୍ରେଲାବ ବିଶିଥର୍ଗଭ୍ରା,
 ତୃତୀ ଲାକ ବାର୍ଜିଶିଲ୍ଲାତ ରା ରିଗାର୍
 ପ୍ରଥିତ୍ରେରାଲ୍ ମତ୍ରାରାକି ଶିଖିବ୍ରେବ୍ରା;
 ଏକ ବାହିକ୍ୟାଲୋଗ୍ରେନ୍ ରା ଅମ୍ବିତ
 ଶ୍ରେଷ୍ଠାଦନ୍ତର ବାହନାର ଦାର୍ଢ୍ରେବ୍ରା,
 ତାତ ପ୍ରବାହୀରେବନ୍ଦନ୍ତର ଲାଲିକ ପାଶିଲ୍
 ପ୍ରେରପଥିଲିକ ପ୍ରଦେଶି ବାଦର୍ଗଭ୍ରା;
 ବ୍ସିପ୍ର ଲ୍ୟାଟାରେବର୍କିଙ୍ ଲିମିଲିଟା
 ତାତକ୍ରମ ବିଶ୍ଵଦେବନ୍ଦା ଶ୍ରେଣିତା,
 କିମ୍ବା ଶ୍ରେଷ୍ଠେ ପ୍ରେଲାକାର ଶ୍ରେଷ୍ଠାଦା
 ପ୍ରବନ୍ଧିବ୍ରେ ଗ୍ରେଫିଲ ଫର୍ମଟରେବନ୍ଦା.
 ଅମାବାଶିଶ ବାତ୍ରେଲ୍ଲେମଦା
 ଡାଲିଲିଲ ଫ୍ରେରିକି ବାନ୍ଦିତା,
 ରା ଏକ୍ସାଲିନ୍ଦିପ୍ ମ୍ୟାନ୍ଦର୍କିର ମିଳିଲ୍
 କିମ୍ବାର୍ଦିଲା ବିମା-ର୍ଯ୍ୟାବିଲିକ ବାନ୍ଦିତା.

V

ମାଗରାମ ଦ୍ରାଶିପ୍ରେସିଲା, ଗୁମାଯିମା—
 ବ୍ସେଫିମା ପିର୍ହିନ୍ଦା ତିର୍ଯ୍ୟାକା:
 ଗରତ ମିଶ୍ରନ୍ଦିର ଫଲ୍ଗୁ, ଶ୍ରେଷ୍ଠାଦନ୍ତ,
 ବ୍ସିର୍ବ୍ରେ ଗିଶି ରା ତିର୍ଯ୍ୟାକା.
 ଏକାର ମତ୍ରେଲା ଫଲ୍ଗୁ ଦାଲାମଦା,
 ବାତ୍ରେଲା ଏକ ବିନାନ୍ଦ ଜାହିଶ୍ରେଦା,
 ମିଳି ବ୍ସିପ୍ରେଲା ଏକ ଅନ୍ଧବ୍ରେନ୍



მიღდომოს ზართა ხმაზედა.
მის მოლოდინში ყვავილებს
მოუსხამთ სევდის არშია,
თვით მზეც-კი აცრემლებულა,
არ იყურება ცაშია.
რა ამბავია, რა მოხდა?
რად არ მღერიან ფრინფლები?
რას ჩამოსტირით თაფ-პირი,
რას დაუშვიათ ძირს ფრთები?
ნათელის დედა ავად ჰყავს,
ნათელა ჰკვნესის გულითა,
სიხარულს ვით-და ესტუროს,
როს სევდა სერიგს წყლულითა!



VI

შევი ზეწრით დაჩრდილული
წევს ნათელის ტქბილი დედა;
სჩანს, სულს ებრძვის, სუნთქვა უმძიმს,
მის სიცოცხლე იბინდება.
სასოება წარკვეთია
მეფეს, თავზე ფერფლ-წაყრილსა,
თავი მძიმედ ძირს დაჭკვრია
შუბარებით ბეჭ-წახრილსა.
კარის კაცნი, ერი-ბერი
შეუპყრია ერთგვარ ჭირსა,
საზღვარი ხომ სულ არ უჩანს
ჩვენ ნათელის გასაკირსა:



စုတေသနများ၊ မြန်မာနိုင်ငံများ ဖွံ့ဖြိုးဖွောင်း
 და ဝါယာရှိခိုင်း တွေ့ပေါ်တော် ဖွံ့ဖြိုးလား,
 မီးမံ့ တစ်စီးစာ ဖွံ့ဖြိုးဖွောင်း
 ဖွံ့ဖြိုး-ဖွံ့ဖြိုးရှိခိုင်း ပြန်လည်ဖွံ့ဖြိုးလား.
 မာဂါရာမီ အင်း၊ သာက်-မီးမံ့လွှဲလျှော်
 အလောက် ဖွံ့ဖြိုးမြှုပ်စာ စောင့်၊
 ထိုးများ လွှာမံ့၏၊ မြို့သာရှိခိုင်း
 မီးမံ့ ဖွံ့ဖြိုးလွှဲ ဆုံးပြုလား.
 လူများအောင် မီးမံ့ရှိခိုင်း ဖွံ့ဖြိုးလွှဲ
 နိုင်းမီးမံ့လွှဲ မီးမံ့ရှိခိုင်း တို့များ၊
 ဒုက္ခ မြို့သာရှိခိုင်း အိုဒ္ဓရှိခိုင်း
 အံ့ဖြူရှိခိုင်း နှေ့ပြီး မော်များ၊
 და အဲ ဖွံ့ဖြိုးမြှုပ် မြို့သာရှိခိုင်း
 ပါ နာတွေ့လျှော် ဒုက္ခိုင်း၊ နာတွေ့လျှော် ပြန်လား,
 ဒုက္ခ မော်များ လုပ်ရှိခိုင်း ရှိခိုင်း
 ဒုက္ခပြုခိုင်း ကျိုးမီးမံ့ မော်လျှော် မော်လျှော် မော်လျှော်.


VII

မာဂါရာမီ ဖွံ့ဖြိုးတဲ့ လျှော်စွာလို့
 တော်ကျေး ဒုက္ခိုင်း မီးမံ့ရှိခိုင်း၊
 ရှာ မြို့သာရှိခိုင်း တွေ့လျှော် လုပ်ရှိခိုင်း၊
 တွေ့လျှော် နာတွေ့လျှော် မီးမံ့ရှိခိုင်း.
 „ ဖွံ့ဖြိုး— ဤတော်— လီမီရှိနေး သော အို အိုးရှိနေး၊
 ဒုက္ခ ဒုက္ခပြုခိုင်း၊ မီးမံ့ရှိခိုင်း၊
 အဲ မျှ ဝောက် ဒုက္ခပြုခိုင်း၊
 လုပ်ရှိခိုင်း အောင် အိုးရှိနေး သော အိုးရှိနေး.
 နှေ့ပြာ မီးမံ့ရှိခိုင်း၊ မြို့သာရှိခိုင်း အဲ မြို့သာရှိခိုင်း

ဒေဇဝါ ဗုရတန္တုလ္လာ အမိန္ဒရာ၊
 မာဂုဏ် ပျော်ကဲ စံခြာ ဒုရိုးပို
 မျိန် ဒေဇဝါ မတော်ကမိန္ဒရာ၊
 နိုင်လှပါ ဒွေ့ပေါ်၊ ရှာမ ဖွေ့ဖြေတွေး
 ပျော် စွာ လော်မီ ဇာဂျော်၊
 အသေး အမာရာ! နျော်ရာ မတော်
 „ဒေဇဝါ၊ မျိန်တာ ပုံမိန္ဒရာ!“
 အရာ၊ ဇာတ်၊ ဒေါ်စာရ်ဇူး၊
 ကျွေး စေတ်၊ ကျော်လှုံး၊
 ဆော်ကျေး ဇမ္မာရ်တာ ဇာရွာ
 ဖိမိဇာတာတွေး ဗျားလှုံး၊
 ၅၂ မျိမိသွေ့ဇူး ဗုရတန္တုလ္လာ နိုင်လှုံး မြှေ့
 နော်ရာ၊ တာဒေးဖျော်လှုံး၊
 နိုးအောင်၊ နှု အစားပိုး၊
 ဦးနှေး ဒေးနှေး ဖျော်လှုံး၊
 စော် လာ တာနာပြ မျှော်တာလှုံး ကျွော်နိုး
 ဇာအောင်တာ ပုံရမိလှုံး ပုံရမိလှုံး၊
 ဇာ မြှော်လှုံး စားနာ လှုံး ဇား
 မိုးနှောင် စားနာ ပျော်လှုံး၊

အ. အာရာရေး。

(မျိမိဇူး အိန္ဒာ)。





მოპარნახე ღიაპვნაზ.



თისის დამლევს სოფლიდან ბებე-
რი ლიდედა ჩამომიგიდა.

თითქმის ოცი წელიწადი არ
შენახა, და, რა თქმა უნდა,—დი-
დად მესიამონა ჩემს ოჯახში მი-
სი ჩამოსველა.

ორი-სამი დღე ისე გავიდა, რომ სულ ჩვენი სოფლის
ავ-ჯარგიანობაზე და იქ მცხოვრებთა კეთილ-დღეობაზე ვლა-
პარიკობდით.

— ეგ ეგრე, — მითხრა ბოლოს დიდედაჩემმა, — მაგრამ
რატომ შენს თავზე არას მიამობ?.. სადა მსახურობ, რას
აკეთებ?..

— როგორ, დიდედი, განა არ იცი, სადაცა ვარ სამსა-
ხურში? — შევეკითხე განცემულებული.

— რა ვიცი, შეიღო, ვისაც-კი ვკითხე: ჩემი შეიღოს-
შეიღო გოგია სადა მსახურობს — მეთქი, კუკელამ მიპასუხა —

„ტიატრში...“ მე, რა თქმა უნდა, არ დავიჯერე, ფრთხოების ერთი გამჩენა ნურც დამაჯეროს!.. აბა, „ტიატრში უამონება“ რა ჩვენი საჭმე? ჩვენი ჩამომავალნი, შეილო, სულ ვაჭრები ყოფილან და არიან კიდევა. შენც ალბად რაიმე ვაჭრობას თუ ეწევი?

— არა, დიდედი, მართალი უთქვამთ: მე თეატრში ვმარტოობ,—უპასუხე მე.

— უი, დამიდგეს და დაშიბრმავდეს თვალები!—მუხლებზე რაიცე ხელი ჩინორტყა და წამოიძახა დიდედაჩემა;—ეგ რა გამავონე! ეგ რა სოჭვი! მე მეგონა ყველანი მხებუმრებოლნენ, და თურმე-კი მართალი არა ყოფილა?! ვინ ამ დღის შოშეწრესა!—ჩიფჩითებდა მწუხარე ხმით ბებერი.

— დიდედი, რა იყო, რა მოხდა სამისო, რომ ასე სწუხის და ჰელოვობ,—ვკითხე გაშტერებულმა.

— შეილო, „ტიატრი“ ხომ ის არის... არ პეტიონი... არ, ცირკს რომ ეძინიან?..

— რას ამბობ, დიდედი: სად ცირკი, სად თეატრი?

— მოიცა, შეილო, მოიცა! მე ეერ მომატყუებ! შენა გვინია, აქან და უსწივლელი ვარ, არაუერი არ ვიცი?! რამდენჯერაც მე ეგ თქვენი „ცირკ-ტიატრი“ მენახოს, იმდენი დღის სიცოცხლე მომემატოს!.. ამ ათიოდე წლის წინად ჩამოვიდნენ ჩვენ სოფელში „ცირკები.“ ბაზრის შუა გულს რომ დიდი მოედანია, იქ დადგეს ვეებერთელა კარავი. ჩვენი უბნილან დიდ-ძალი ხალხი წაეიდა. რა თქმა უნდა—მეც წავედი. ათი შაური მივეცი და ერთი პატარა ნიხევი ქალალდი მომცეს, მითხრეს—ბილეთია, ამით უნდა შეხვიდე ცირკში. მართლაც, შესვლის დროს ვამომართებს ის პატარა ქალალდი და შუაზე გავლიჯეს. მე ჯავრი მომიციდა და უთხარი: „რათა ხევთ მეთქი?“

— აღათი ეგრეაო. ეს მონახევი ჩვენი „კანტრაბანტკა“ არიო...

ლმერთმა დასწუყევლოს იმათი თავ-ტანი! ეს მეცნიერებულება ხმა თინის ხალხი არიან!.. აბა, მე რა ვიცი „კანტისათნ გულება კა“ რა ეშვეიცა!

შეცვედი და ერთ ჩემსავით პატიოსან მოხუცს მოუჯემი-კვერდით. ჯერ თვალი რიგიანად ორ დამგხამხამებინა, მოვი-და ერთი ჩისუკებული, შუაბნის კაცი და მეუბნება—აღეჭი, ეს ჩემი ალავითო!

მე ძალიან მეწყინა იმისი უზრდელობა და უპასუხე:

— შენი, მე ვიცი, მამა შენმა დავიმტკიცა-მეთქი.. კა-ვად მითქვამს თუ არა? ჰო-და, არც ვედექი და არც ით-ფირი!..

როცა ნახა, რომ ვერა გააწყო-რა, თავი გააქნია და გა-შორდა...

ზოგიერთი კაცი რა ბრუყეია!?

ჰო, იმას გეუბნებოდი, შევლო... უცებ გამოვარდა ერთი უზრუნველისი შევი ცხენი; თან შემცელი ქალი გამო-კვება; შეხტა ეს ქალი ამ ცხენზე და ქაჯივით სულ ყირა-ყირა-იარა.

დასწუყევლოს ლმერთმა: ახლაც არ ვიცი რა სულიერი-იყო!.. ქალს-ეკ ჰგავდა.

ბოლოს ერთმა ქალში და კაცმა წერილ მავთულებზე, გაიარეს და გამოიარეს.

მცოდნია თუ არა, შვილი, შენი ხელობის ამბავი?!

ალბად შენც მავთულებზე და ცხენებზე, თუ დადიხარ! ერთიც ვნახოთ, გავისხლტა ფეხი და გადმოვარდი იმ ვერანა-ცხენიდან ან მავთულიდან?.. მერე რაღად მინდა თავი ცო--ცხალი!

მოსთქვამდა დიდებაჩემი და მიმკენარი თვალებიდან ცრემლები ლიპა-ლუპით ჩიმოსდიოდა.

— დიდელი, აბა რაებს ამბობ?—დავამშვიდე მე,—რის ცხე-ნი, რის შავთული?.. მე იქ დედამიწაზე ძლიერ დაებაჯაჯებ-და შენ მავთულებზე და ცხენებზე სათამაშოდა მგზავნი?



— მაშ რას აკეთებ, შვილო?

მოქარნახე
ბირთვულისა

— რას ვაკეთებ, და ერთ ადგილასა ვზივარ და წიგნსა ვკითხულობ. ჩემ ხელობას სუფლიორი ჰქვიან.

— სიფლიორი რაღაა?!

— სიფლიორი-ერა, სუფლიორი!

— პოდა, რა არის ეგ ფიმფლიორი?

— რის ფიმფლიორი, რა ვქნა! სუფლიორი! სუფლიორი! სუფლიორი—უცხო სიტყვაა; ქართულად მოქარნახე ჰქვიან!..

— რაო, მოქალ ნახეო?!

— მოქარნახე! მოქარნახე!

— აი დასწუყველოს ლმერმა ეშმაკი! —გაიკვირვა დიდედა-ჩემმა,—რაებს არ გამოიგონებენ?! ჯარები, შვილო, და რას აკეთებ?

— ვზივარ „ბუტეაში“ და წიგნსა ვკითხულობ!

— უი დამიდგეს ოფალები! ეგ რა სოქი, შვილო?!

— რა იყო, რას გაიკვირვე? ერთი პატარი წახურული სორითა, როსულად „ბუტეა“ ჰქვიან; იმიში ვზივარ და წიგნსა ვკითხულობ.

— პომორი! ეგ სხვა საქმეა! — მიხვდა დეიდაჩემი. — მეც არა ვთქვი თუ...

— მერე, შვილო, მერე?

— მერე ისა, რომ ჩინჩისულით წიგნსა ვკითხულობ და არტისტები კიდევ ჩემს ნათქვამს იშერებენ.

— ვინა, ჩარტისტები?

— ვინ ჩარტისტები, რა ვქნა... აჩტისტები, არტისტები ქართულად არტისტს მსახიობი ჰქვიან და ბერძნულად კიდევ აქტიორი.

— დიდება შენდა, უფალო, — პირჯეარი ვადიწერი დი-დედაჩემმა,— რა სახელებია:



— არ გესმის და თავი დაანებე მაგ გვარ კარტოფილი ცის გარეშე არ იყოს გვიჯვერდი მე.

— ერთი ქსეც მითხარი, შეილო, — არ მასენებდა და დიდედა ჩემი, — იმ წიგნების კითხვაში ფულს გაძლევენ?

— მაში იმათი ყმა ხომ არა ვარ, რომ მუქთად წავიკითხო.

— ეგ-ეგ არ ვიცოდი, თუ წიგნების კითხვაში ფულს აძლევდნენ!..

— შეილო, იქნება მიმალავ და ან მღვდელი ხარ ან დიაკვანი?! იქნება ტანისამოსი გადაიცვი და მეცულლურები?

— ჰო, დიდედი, დიაკვანი ვარ, დიაკვანი! — შევცვირე გახირებულმა, რაკი შევატყე, რომ არც არაფერი ქსმოდა და არც თავს შანებდედა.

ლმერთმა უშეელოს, რომ თვითონვე მიმახვედრა, რა გზითაც ჩამომეტორებინა თავიდან შისი სხვა-და-სხვაგვარი უცნაური შეკითხვები.

— ჰოოო! ეგ სხვა საქმეა! მერე და, შეილო, ამდენი კითხვებით რაზე დამღალე? აღრევე გეთქვა — დიაკვანი ვარ-ოქმა!.. განა დიაკვანობი სათაკილოა?

— რა ვიცი, როგორდაც მეჩოთირებოდა, — ვიცრუე მე.

— არა, შეილო, დიაკვნობა ძილიან, ძილიან კარგი რომ არის.. ეგ თვით დვთის სამსიხურია, — ვენაცვალე იმის მაღლისა და ძლიერებას!.. მერე, შეილო, რომელ საყდარში ხარ?

ვერ წარმოიდგენთ თუ რა დღე დამადგა ამ შეკითხვაზე! იხალი ჭირი და ხათაბალი ივიტეხე. მაგრამ მეტი ლონე არ იყო, რაკი შევტოვე, მშრალად უნდა გამოვსულიყვა. მეც არ ფიცი როგორ — და უცებ წიმოვიძახე:

— რომელ საყდარში ვარ?

— ჰო, შეილო, რომელში?

— რომელში და ქაშვეთში!

— სად არის ეგ ქაშვეთი?



— ალექსანდრეს ბალთან.
— ალექსანდრეს ბალი სადღაა?
— ქაშვეთთან, —ვბოდავედი ჯავრისაგან ანგარიშ მიუ-
ცემლად.

— შვილო, ეგ როგორი საქმეა: ქაშვეთის გეეკოთხები — სად
არის-მეტქი — ალექსანდრეს ბალთანაა; ალექსანდრეს ბალი
სადღაა, მეტქი და — ქაშვეთთანი... აბა, შეჩ თითონ იფიქრე,
რა უნდა გავიგო ასეთ აბდა-უბდა პასუხიდან?!

— ჰოდა, ერთად არიან რაღა!

— ენ არიან ერთად?

— ქაშვეთი და ალექსანდრეს ბალი!

— რას იმბობ, შვილო! გენაცევლოს დიდედა, იქნება
სიცხე გაქვს?

— მაქებ!

— რა გაქვს?

— დოს შეკამანდი! — დავიუვირე გაჯავრებულმა და
ოთახში სიარული დაეიწყე.

— არ ვიცი, არ ვიცი, —გაიქნია თავი დიდედა ჩემმა.

— ეგ ცველი იქით იუოს, შვილო, და, — მომმართა კარ-
გა ხნის სისტმის შემდეგ დიდედა ჩემმა, — ძალიან კარგი წიგ-
ნის კოთხე გეცოლინება, იბა ერთი სახარება წამიკითხე, აგ-
რემც გენაცევლოს დიდედა შენი!

შეტი რა ღონე მჭონდა, წამოვავლე სახარების ხელი, და
რა აღგილზედაც გადაიშალა, იქიდან დაეიწყე:

„ვითარ იხილა იგი იქსო, რაშეთუ შესწუხნა, სოქვა,
კითა-მედ ძნიად შევიღენ სასუფეველსა ღმრთისასა, რომელთა
აქვნდეს ასე. უადვილეს არს მან ქანისა საბელი ხერელსა
ნეშისა გასელად, ვიდრე მდიდარი შესვლად სასუფეველსა
ღმრთისასა.“

— იფ, იფ! კარგია, ძალიან კარგია! — მოიწონა დიდედა
ჩემმა, — ნამდვილი დიაკვანი ყოფილხარ. დლესვე უნდა წამო-



კოდე და გნახო, საყდარში როგორ-და ჰქოთხულოსტე! ჩემი უძველესი
თქმა უნდა, უფრო ხმა-მაღლა და რაკრიფიც წილისავ?

— მო, რა თქმა უნდა, — კუპისეუბე მე.

ამ სიტყვებზე წამოდგა დიდედა ჩემი, წამოისხა ძველებურად ჩაღრი და მითხრა:

— ახლა კირგი დროა საყდარში წისძევლელად. აბა, შეიღო, დავიძროთ; ლვის წირვა მოვისმინოთ. გნიხო ერთი, როგორ ჰგავთობ!

წამოვდექი და მობუზულ-მოკრუნჩული ტუსტუსით გვეცვი. ცოტიოდენი მანძილი რომ გვივარეთ, „კონკაში“ ჩა-ჯდომა მოისურვა. ჩაესხდით. მხოლოდ შე იღრუვე დავირგვე დიდები ჩემი:

— შეიძლება უადგილობის გამო ჩვენ სხვა-და-სხვა ადგილის მოქმედეთ „კუნჯაში“ და კიდრე მე არ ვითხრა, არამცა და არამც ადგილიდან ფეხი არ მოიცავო-შეთქი.

მართლაც ეგრე მოხდა—სხვა-და-სხვა ადგილის— მო-
ხედით.

დაიტრა „კონკ“.

ପ୍ରାଚୀନତାକୁ ମାନଦିଲୀ କାହାର ଗୋଟାରୀ, ଲାନିଶିଖିଲ ଏହାଙ୍କେ
ଗାନ୍ଧିରାଜୀଙ୍କାରୀ ।

წამოსტა დილეგა ჩემი და გადადის.

— დიდედი, სალ მიხვალ, სალა? — მივიყვირე მე.

— შეიძლო, განა არ მიუკლით?

— օմօ, չց՞ն օմօ!

— Յո՞՛՛ հալ ցանցիւն?

— „კონკის“ ღერძი გაუცხლდა და სპონსი უნდა წაუსვან, რომ არ დაიწოს, — კინეუმრყე მე.

— 3m, ეს სხვა საქმეა, — დაიჯერა დიდება ჩემთვი.

ပြတ်ဝေလျဉ်က အနေဖြင့် လုပ် ဆောင်ရွက် "ပြန်ပါမီ", ပါလျဉ် ဆောင်ရွက်သူ၏

წამოხტა დიდება და შანქუ გადასცლის პირებს.

— დიდედი, არ მისცულვართ. არა! — ვუყვირი ეჭვებაზუდე
გაჩქარდს? მე თითონ გეტუვი, როცა მივალთ. ბიბლიოთისა

— კარგი, შვილო, კარგი... მაგრამ საკვირველია, რა
ჩირ-ჩირა უსვამენ ე საპონსა?

ძალიან დიდ ხანს ვათროკიალე დიდედა ჩემი „კონკის“.

არ ვიცი, რეა თუ ცხრა ბილეთი შეუცვალა „კონდუქტორმა“.

მინდოდა დრო გასულიყო, რომ ექვესია დაცემურათ
და ლოცვისთვის ვეღია მივვესწრო.

თორებ მე სადაური დიაკვანი ვიყავი; რომ დიდედაჩემი
ჩემ სანახევად მოდიოდა საყდარში.

მოქარნახე და დიაკვანი?

— არა, ესეც-ეს შეხვდოთ: ვიტირება რომ იარს მო-
მდგომოდა, მექისრნა მოქარნახეს დიაკვნობა, მაგრამ აյ ხმა
არავითარი ვიტირება არ იყო!

შემთხვევით ქაშვეთის ხელო ვავიარეთ კონკით.

დიდედაჩემმა „კონდუქტორ“-სა ჰერთა — ეს რა საყდარი
არის?

მან უპასუხა — ქაშვეთით.

ქაშვეთის ხსენება იყო, რომ წმოხტა დიდედაჩემი და
დაიყვირა:

— დააყეთ, ქაშვეთი ყოფილა, ქაშვეთი!

ამ სიტუაციით ვადახტა ვიქანებულ „კონკიდან“ და ყი-
რაბალა ვადავიდა.

მეც ვადავხტი საჩქაროზე და ვერ დიდედაჩემს, მაგრამ
რაღა დროს, — თავი ვაეტეხნა!


ჩივეცი ეტლში და ვაევქანე სამკურნალოში.

თავზე წამალი დანდეს და რაღაც თეთრი ზონტებით და-
ბუნდლებს.



პროზა და პოეზია.

იგავ-არაეკი.



თხზა ვირი, მძიმედ დატეირთული
შენავი დაქრილი შეშით, შემოეყარა
გზაზე მახინჯ აქლებს. რომელსაც
კუჩებიან ზურგზე დაკრული ჰქონ-
და ლერწმის ვეება კონა. ეჩქარებო-
და ვირს ჭალიქში ჩასვლა და იდა-
მიანის ბინის გათბობა, მიგრამ ცნო-
ბის-მოყვარეობამ წასძლია, და შეჩერდა პატარა ხანს სალაპა-
რაკოდ.

— ვამარჯვება, დიდებულო აზიელო! — მიუბრუნდა თა-
ვაზიანი სალაპით ვირი აქლებს.

— ვაგიმარჯოს, იფრიკელთა წარჩინებულო შთამომავა-
ლო! — უპასუხა არა ნაელები თავიზიანობით აქლებმა, რომელ-
საც აჩქარებული მოძრაობისაგან უთროთოდა ტუჩები, როცა
უწყალოდ იმახინჯებდა ბუნებითვე სიძიგელი უქაბედაობის
ცხოველს.



— მითხარი, რას მივიწერო ასეთი არაჩვეულებრივი ქანკები, რომელიც სრულიად არ უხდება შენ წარმოსადევ გარეგნობას; წრფელის გულით გირჩევ, არასოდეს არ უღალატო წყნარ ნაბიჯს, რომელიც შენ ახოვანობას სწორედ რომ მეფეური სილაბიზის ელფერსა ხდება? — არ დიმური საამ სიტყვა ვირმა იქლემისათვის. — მე რომ მხედვე აჩქარებულს, ეს ხომ ადვილი გასაგებია: შეშა მიმაქვს, ვეშურები აღამიანის გახათბობად. რას იზამ? თუ ვკიკისრია მისი სამსახური, კიდევაც უნდა ვწიოთ ჭაპანი.

— ჰმ, აღამიანს ათბობთ? ემსახურებით! დიდი სამსახური გაგიწევით, თქვენმა მზემ! დაცინების კილოთი უპასუხა იქლემმა და უშნოდ დაუშვა ქვემო ტუჩი. — სამსახური ჩეგნია, და ჩეგნ გვაქვს საჩქარო საქმე, რომ აღამიანმა მაღვე გადააკეთოს ეს ლერწამი სალამურებიად, დაუკრას ტებილი სიმლერა და ამ სიმლერით გაითბოს არა თუ ხორცი, რომელსაც ემსახურება თქვენი შეშა, არამედ თვით სული! — სოდეა რა ეს „ხელოვნების ქურუმმა“, გადახედა მოკამათეს, თავისი სულელური თვალებით, ხმა-მალლა დაიწყო ქშენა, თითქოს „ხაბარდას“ ეუბნებათ გამვლელთ, და მძიებად თავის გზაზე გაეშურო.

დავ. კილოსანიძე.





პ ა ღ ი ა.

(ზ ლ ა პ ა რ ი ე ვ ა ლ დ ი ს ა).



უა თერიკიაში, საღაც ზანგები სცხოვრობდნენ, დაბტოდა ერთხელ კალია ბალახებში და რაღმას სკამდა. უცბად საიდანლაც მოფრინდა მერცხალი და დაჯდა იქვე ბუჩქნორზე.

— ვინა ხარ დობილო? — შეეკითხა კალია.

მერცხალი მიესალმა, ის კარგ გუნებაზე იყო, რადგან ხვალისთვის უცხო ქვეყნებში გასათრენად ემზადებოდა. კალია საპასუხოდ იმან მხიარული ქიკიკი მორთო:

მე მერცხალი ვარ პატარა,
მარად მშრომელი გულითა,
გავთბები, საშრომლოსაკენ
მიეფრინავ სინარულითა;
ნირდილოვეთისკენ მივიღტვი,
საღაც სიციცე მტანჯავდა,
და უსახლკარო სიცოცხლე
ჩემთვის სიბნელეს ხარჯავდა.
მწვანე ფოთლები ბუჩქების



არ მიგზავნიდა საზრდოს იქ;
თუმცა ძუნწობდა ის მხარე,
მაინც ვიძიხდი „ჭიქ-ჭიქ-ჭიქ!“

— კეთილი იყოს შენი მოსვლა! — წამოიძახა კალიაში: —
სასიმოვნო შენი გაუნობა; აი, ხომ ხედავ, აქ საჭმელი
ბლობად არის — ყველის გვეყოფა.

მერცხალი კვლავ განაგრძობდა:

ფრთები გავშალე, ავტრინდი
და კვლავ ჩრდილოეთს მიემართე.
ის არის ჩემი სამშობლო,
ჩანგრე იმისთვის მოემართე.
აწ იფურჩქნება მთა-ველი
და მოჩქრიალებს მწვანე იქ, —
იქ ახლა გაზაფხულია,
და მიტომ ეხარობ: „ჭიქ-ჭიქ-ჭიქ.“

— მაშ ეგრე, — შენ უცხო ქვეყნებში მიტრინავ? არ
მომწონს შენი განზრიახვა; ჩვენ აქ ძალიან კარგად შეგვე-
ძლო ერთად ცხოვრება. გეტყობა — მუსიკალური ნიჭი
გქონია.

— ეგრე ამბობენ, — უპასუხა მერცხალმა: —
შენ ვინ-ღა ხარ?

კალიაშ სიმღერით უპასუხა:

მე კალიას მეძახიან,
სხვებისათვის არ ეზრუნავ, —
ჭიანურსა ფრთებით ვუკრავ,
სულ ბალისს ვჭამ, სულ ვხტუნავ.
ცხელ ნამჯებში გავიძიხ
განუწყვეტლივ „ჭრი-ჭრი-ჭრი!“



გულ-მოდგინედ ვეძებ საზრდოს
და გალობით ვხტი, ვხტი, ვხტი!

მართალია
პირების მიერაცხოველი

— შენც მუსიკისი ყოფილხარ? — ჰკითხა მერცხალმა.

— მაშ როგორ გვთხია! თუ გინდა იცოდე, მე უკრავ
პირველ ჭიანურს მთელ აფრიკაში. ეს შენთვის დიდი წყა-
ლობაა, რომ ჩემ გალობას ისმენ. ზოგიერთებს არ შეუძ-
ლიათ ჩემი გალობის მოსმენა, მიგალითად — ადამიანებს.

— ამ, ადამიანები! — წამოიძახა მერცხალმა: ისინი
არც არაფერს ხედავენ, არც არაფერი ესმით, თუმცა-კი ფიქ-
ქრობენ, რომ ჩენენზე უკეთესები არიან.

— ჩემი საქმრო უფრო ბობის ხშირა გალობას, იმისი ხმა-
კი ესმით.

— სადაა შენი საკრავი? — ჰკითხა მერცხალმა.

— აი, აქ, — უპასუხა კალიამ და ასწია უკანა ფეხი.
ეს საუკეთესო დისაკრავია. ჭიანურის ქამანჩად ჩემ ფრთებსა
ეხმარობ.

— ეს ძალიან საინტერესოა. გეტყობა-კარგი სმენაც
უნდა გქონდეს. მაგაში ექვიც-კი არა მაქვს.

— ყურები წინა ფეხებზე მაბია, — სოჭვა კალიამ.

— რა საკვირველ ცნობებს მაძლევ! — წამოიძახა მერც-
ხალმა.

ამ დროს ბალახში მეორე ჭიანურის ხმა მოისმა.

— ბოდიშს ვიხდი, — უთხრა კალიამ: — ეს ჩემი საქმრო
მეძახის. დღეს ჩენი ჯვარის წერი იქნება.

— გისურვებ ბეღნიერებას, — უთხრა მერცხალმა. მაგრამ
კალია ისე უცხად გაძვრა, რომ არც-კი გაუგონია მერცხლის
უკანასკნელი სიტყვები.

— ამ მოუსვენარს ეტყობა — კარგი ფეხები უნდა ჰქონ-
დეს, — გაითიქრა მერცხალმა.

ის ისევ ძეველ ადგილზე დარჩა, რადგან ჰფიქრობდა უცე-
ლა საქმების მოწესრიგებას აფრიკაში და ჩრდილოეთისკენ
გამგზავრებას.



სალამოთი კალია დაბრუნდა.

ეროვნული
შემსრულებელი

— ყველაფერი გათავებულია; — უთხრა მერცხალს.

— მაში შეიძლება მოგილოულ?

— საკირო არ არის. ჩვენთვის, კალიებისთვის, ქორწინება სიკედილის დასაწყისია. ახლა მე კვერცხების გამოტანა-ლა დამრჩი და შემდეგ მოვკედები.

— შენ ქმარს რაღა დიემარობა? — ჰკითხა მერცხალმა.

— ის თუ ახლა უკვე მკვდარი არ არის, ამაღმ მიმნც ალარ გადატრიება.

— რა უბედურებაა, რა უსამართლობაა! — წამოიძახა მერ-ცხალმა: — სხვებს-კი ყველის აქვს ბუდე, პყავს შეილები, ქმარი, რომელიც თავის გალობით ატებობს ოჯახს.

— ბოდიშს ვიხდი, რომ გაწყვეტინებ: გულწრფელად უნდა გითხრა-არა მსურს მაგისთანა ლაპარაკს ყური უგდო. შენ ბეჭრი ქვეყნები მოგივლია; ბეჭრი რამ გინახავს და არ შევ-ფერის ტებილ-გრძნობიერება. თუ გინდა — საქმის თაობაზე ვილაპარაკოთ, როგორც გამოცდილმა ხალხმა. ზოგი ქორწინებამდის მხიარულობს, ზოგიც ქორწინების შემდეგ. მხო-ლოდ სულელები ფიქრობენ, ყველამ ისე უნდა იცხოვოს, როგორც ჩვენათ.

მერცხალმა არაფერი უპასუხა.

კალიამ ბილახის ჭამა დაიწყო. როდესაც დაიქმაყოფილა სიმშილი, სუსველაფერი ისევ უკან გამოაფუროთხა.

— შენ კარგი ჩვეულება არა გქონია ჭამის დროს, — მისცა შენიშვნა მერცხალმა.

— შენ ისევ შენსას განაგრძობ! — წამოიძახა კალიამ: — მე ჩემებურად ვჭამ. ამ ეს ჩალა ჩემი კუჭისთვის სასა-რგებლო არ არის. მე მშოლოდ წვენს გამოვწუწნავ ხოლოე. შენც, მუცელს რომ გაიცსებ, ყველაფერს კუჭში არ ინახავ.

— ეგ მართალია, მაგრამ მე სხვა გზით ვიშორებ უსარ-გებლო საჭმელს.

— შენა გვინია, რომ ეს უფრო ლამაზი სურათებზე—
სიცილით შეექითხა კალია:—მაგრამ შევწყვიტოს უწინადებების
ლო კამათი. სჯობია მითხრა—აქ გარეშემო ბევრი ბალაზია?—
შენ მაღლა ზიხარ და უკეთესად დაინახავ.

— რა მანძილზედაც—კი თვალი მიქრის, ყველგან ბალაზ-
სა ვხედავ. ეს ბალაზი რამდენსამე მილიონ კალის ეყოფა.

— არა, ეგ საქმიანისი არ არის. ახლა აქ ძლიერია ცხე-
ლი, და თუ სულ ესეთი დარი იქნება და წვიმები არ შეგვა-
წუხებს, მაშინ იმდენი კალია გამოიჩინება, რომ ეს ბალაზი-
აღიარ ეყოფა.

— მაშინ რას იზამთ ხოლმე ამნაირ შემთხვევებში?—ჰკო-
თხა მერკებალმა.

— მაშინ ჩვენ აღიაგვ ვიცვლით: ერთი ალაგიდან მეორე-
ზე გადაედივართ ხოლმე.

— ჩართლაც. მე უკვე შეგამჩნიე, რომ კარგი ხტომი
ვცოლდია.

— ერთი ეს მითხარი: სიღვანაც შენ მოფრინდი, იქ
ბევრი ბალაზია?—ჰკოთხა კალიამ.

— რასაკვირველია,—უპასუხა საყვარელი ადგილის მო-
გონებით გამშიარულებულმა მერკებალმა.—ის ერთი ულამაზესი
აღიაგია მთელ ქვეუნიერობაზე. ზაფხულში მთელი ის ქვე-
ყანა მწვანითაა მოსილი: მინდორი, ველი, ტყე; ჭობი—
სუყველაფერი ბალაზით არის მოფენილი.

— მე ამას დაეისომებ,—სთქვა კალიამ.

— დაიხსომე, მაგრამ შენ შენი ნაზი, წვრილი და მო-
კლე ფრთებით ვერ მიაღწევ იმ ადგილისმდის; იქამდის დიდი—
მანძილია!

— შენ რომ ფიქრობ, მე იმაზე უკეთესად დაფურინავ.
როდესაც კუჭი ძლიერ მოვსებული არა მაქს და ტანშიაც
ცოტა კვერცხები მაქს, მაშინ ძლიერ სწრაფად დაფურინავ.
ჩემ ტანში ბევრი ცარიელი ადგილია. მე ბევრ ჰაერს შევი-

სუნთქვავ ხოლმე, ამოვიცებ იმ იდგილებს და მაშენეა ყურადღები საქმეც კარგად მიღის.

— რადგან აგრეა, მე მოხარული ვიქნები შევხვდე იქ შენ რამდენსამე შეიღს.

— რამდენსამეს! — დაცინეთ წემოძხია კალიამ: — აი ახლა შენა გყავს ქმირ-შეიღი, გაქვს ბუდე და გგონია, რომ რაღაცა ხარ, რასმეს ნიშნავ. ჩეენ, კალიებს-კი — ჩეენი თვით არაფრად მიგვამინია, როდესაც მარტონი ვართ. მაგრამ როდესაც შეეიკრიბებით ხოლმე ერთად, მაშინ ჩეენისთანა ძლირი არავინ არის ქვეყანაზე; მაშინ ჩეენ ვერავინ დაგვიკერს, ვერავინ გაგვიწევს წინააღმდეგობას: ყველაფერს ვანადგურებთ, რაც-კი გზაზე გადაგველობება. გინდა გაგიგონო ჩეენი ბრძოლის სიმღრა?

— იმღერე! მაგრამ მგონი შენ საზღვარს გადასცდი და კვეხნა დაიწყე.

— აბა, მაშ ყური მიგდე!

კალიამ მომართა თავისი ჭიანური;

ჩეენ გახლივიართ კალიები, ცხიდლივიც და სიზმრადაცა, ვანადგურებთ მწვანე ფოთლებს, მუხლი იყოდებოდა, არა ვზოგავთ ბაღიახსაცა. მაგრიმნიც მიწერა იმამდე ფორაა ჩეენთან ზღვა უსაზღვრო! და იძირება იმის ისახი თეთრუბლებივით ჩეენ ვართ ხშირია: მიმშილს თავიც ხალხსა მოვევრით მწარე შიმშილს, იმისგან და თან მოვაქვს შავი ჭირი. მაგრამ იშეი ხომ არა საცა გავშლით მარდიდ ფრთებსა, ნიდარმა თავიც ერთ და თან გავამრავლებთ ბაცილებსა, და დამარცხები მილიონებს, ბილიონებს, ქვიშაზე მეტს, ბევრის ბევრსა... და დაენავირდობთ



გუნდ-გუნდათა ლრობელივით.

ლელამიწას გარეშემო

კუვლით მძაფრი გრიგალივით.

— არაფერო ვიცი, — უბასუნთა კალიამ: — ახლა დროა კვი-
რკებების დაღებისა.

ამოთხარა ორმო იქვე, საღაც იჯდა და ჩასდო შიგ 25
კვერცხი; შემდეგ კიდევ ამოთხარა მეორე ორმო, კიდევ ჩა-
ძლო შიგ კვერცხები; ამოთხარა მესამეც, ჩასდო კიდევ 25
ცალი, და ამის შემდეგ სულ გამოვლია ძალ-ლონე, მოწყდა,
თავი და ფრთხები ძირს ჩამოუშეა.

— ანდერძად დაუტოვე ჩემ შეიღებს ჩრდილოეთისკენ
წასვლა: ეგებ იქ მწვანე ქვეყნები დახვდეთ და სამყოფი საჭმე-
ლი იშორებონ.

— ლმერობა მიანიჭოს მაგათ ყველანირი სიკეთე! — და-
ლორ და მერა უხალმა.

— კუკლები! — წამოიძიხა კალიაშ და იქვე დაეცა.

ისინი სკამლენებ გამუდმებით, მთელი დღე; ზოგიერთი, უფრო მოხერხებული, დამეუ-კი არ ისვენებდანენ. ამით რომ მეტკალს დაეწია, რაც გარშემო ხდებოდა, მიხედვებოდა, თუ რისთვის ზრუნველი ისე იმათო დედა. მშვენიერი დარი იყო, და უთვალავი კალია გაჩნდა, როგორც იწინასწარმეტყველა დილმა ქალიამ.

მთელი დედიმიწა მოფენილი იყო კალიგბით; რამდენიც უფრო
ლი ადგილი არსად მოიპოვებოდა.

საშინელი გაუმიძღვები იყვნენ. ორი დღის განმავლო-
ბაში გარეშემო მიღამოები დაცარიელდა: აღარ მოიპოვებო-
და არც ერთი შევანე ყლორტი, ბალახი, — ყველაფერი ვადა-
ხრეს; პატარა ბუჩქნარის ფოთლებიც სულ გადაჭამეს; პატ-
ში მხოლოდ გატიტვლებული ტოტები-ლა სჩინდა, თითქოს
ზამთარი ყოფილიყოს. გულსაკლევი სურათი იყო, მაგრამ ზან-
გები იშით თავს არ იწუხებდნენ, რადგან ხენა-თესების არ მის-
დევნენ და ისეთი საქონელი არა ჰყავდათ, რომელსაც ბალა-
ხი ესაკიროება. იმსათან სწამდათ, კალიგბს ღმერთი ვზავნი-
სო. მოუხედივად ამისა ისინი დიდი სიამოვნებით შეექცევიან
ხოლმე კალიებს. შემწვარი კალია უგემრიელეს საჭელად ით-
ვლება იმათში. კალიებს აღარისფერი გადარჩათ შესაჭმელი.
გაისმა იმათი საშინელი ხმა: გვშიან, გვშიან, კიბოცებით შიძ-
ზილით! კალიები დაიძრნენ იმ იდგილიდან, და ვისაც
დედამ ანდერძად დაუტოვა ჩრდილოეთის მწვანედ აბიბი-
ნებულ ქვეყნებში გამგზავრება, ასრულეს დედის ანდერძი:
შემოიეროთ ბევრი სხვაც და გასწიეს. ისინი მიღიოდნენ
გუნდ-გუნდად, ისე ახლო ერთმანეთისაგან, რომ უკანა რიგი
წინა რიგს ფეხს ადგამდა. გზა-გზა უერთდებოდათ უთვალის
სხვა კალია და თან-და-თან იზრდებოდა და იზრდებოდა კა-
ლიათა რიცხვი.

II

იმათი გუნდი მოგავონებდათ ჯარს, რომელიც რასაც
დაეცემოდა, ყველაფერს ანადგურებდა, იწიოკებდა.

იმათ არ აჩერებდა არც ტბა, არც ჰაობი. წინა რიგში
მყოფი კალიები უშიშრად გადაშვებოდნენ წყოლში, იმათ
მიშვებოდნენ სხვები, და რამდენიმე წუთის განმავლობაში



წყალი თივსებოდა მეცდარი კალიებით. იმათ გვამტკმილების ფაზა
და ცოცხლებოდნენ დანარჩენები და გადიოდნენ წყლის შესახე
ნაპირს. მიუხედავად იმისა, რომ იმათ რიცხვს იქლდებოდა
მიღიონები, არაფერი ეტყობოდათ: კალიების რიცხვი დღი-
